

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი
(206217440)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი (206217440)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 5
2. მომზადების საფუძვლები ----- 5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა ----- 9
4. ამონაგები ----- 9
5. ფინანსური დანახარჯი ----- 9
6. საბიუჯეტო გადასახადები ----- 9
7. სავაჭრო და სხვა მოხონებები ----- 10
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 10
9. ძირითადი საშუალებები ----- 10
10. არამატერიალური აქტივები ----- 11
11. ბანკის სესხი ----- 11
12. სავაჭრო ვალდებულებები ----- 11
13. იჯარა ----- 11
14. საკუთარი კაპიტალი ----- 11
15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ----- 12
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ----- 12

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი (206217440)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	4	3153813	2708955
გაყიდვების თვითღირებულება		-230425	-143272
საერთო მოგება		2923388	2565683
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-2141398	-1843123
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-130352	-130481
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-299858	-178999
სულ საოპერაციო ხარჯები		-2571608	-2152603
საოპერაციო მოგება		351780	413080
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-8706	-2138
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		343074	410942
მოგების გადასახადის ხარჯი	6	-57315	-98558
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		285759	312384
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		285759	312384
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3363843	3565872
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-346438	-544199
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		34051	29786
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3337215	3363843

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა:

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი (206217440)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	231862	201282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1791	4214
სხვა პირებზე ავანსებად		0	6132
მარაგები	8	780	780
სხვა მოკლევადიანი აქტივები		53049	56008
სხვა არამატერიალური აქტივები	10	1816	1816
ძირითადი საშუალებები	9	3052724	3102681
სულ აქტივები		3342022	3372913
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	12	4807	9070
სულ ვალდებულებები		4807	9070
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		285756	312384
გადაფასების რეზერვი		3051259	3051259
სულ საკუთარი კაპიტალი	14	3337215	3363843
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3342022	3372913

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა:

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.თბილისი, ისნის რაიონი, იოსებ და ლეონ ორბელიძის ქუჩა, 64

მისი ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა სკოლაში.

კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ალექსანდრე ჯავახიშვილი 70%

ლევან კანკავა 15%

ქეთევანი კანკავა 15%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

5 პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა

20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მა-

ტერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ს) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2023	2022
მომსახურების გაწევა	2,857,177	2,708,955
სხვა საოპერაციო შემოსავალი	296,636	0

5. ფინანსური დანახარჯები

დარიცხული ბანკის სესხის პროცენტმა 2023 წელს შეადგინა 0 ლარი

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2023	2022
მოგების გადასახადი	57,315	98,558

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო დებიტორები	1,791	4,214
წინასწარი გადახდები	0	0

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	780	780

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა
1 იანვარი 2023წ	2,866,111	236,570
შემოსვლა	0	80,396
გასვლა	73,506	57,047
31 დეკემბერი 2023წ	2,792,805	259,918

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: პროგრამა ორისი

თვითღირებულება

1 იანვარი, 2023 წ.

1815

შემოსვლა

(0)

გასვლა

(0)

31 დეკემბერი, 2023 წ.

1815

11. სესხი

2023 წელს ბანკის სესხი შეადგენს 0 ლარს.

12. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 4807 ლარს

13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში არ უფიქსირდება საიჯარო ვალდებულებები.

14. კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 3,337,215 ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალისგან - 200 ლარი, გაუნაწილებელი მოგების 285,756 ლარისგან და გადაფასების რეზერვისგან - 3,051,259 ლარით.

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ფულადი სახსრები საღაროში	5,939	9,121
ფულადი სახსრები ბანკში	225,922	192,161

16. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა:

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი (206217440)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	4	3153813	2708955
გაყიდვების თვითღირებულება		-230425	-143272
საერთო მოგება		2923388	2565683
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-2141398	-1843123
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-130352	-130481
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-299858	-178999
სულ საოპერაციო ხარჯები		-2571608	-2152603
საოპერაციო მოგება		351780	413080
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-8706	-2138
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		343074	410942
მოგების გადასახადის ხარჯი	6	-57315	-98558
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		285759	312384
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		285759	312384
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3363843	3565872
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-346438	-544199
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		34051	29786
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3337215	3363843

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა:



შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი (206217440)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	231862	201282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1791	4214
სხვა პირებზე ავანსებად		0	6132
მარაგები	8	780	780
სხვა მოკლევადიანი აქტივები		53049	56008
სხვა არამატერიალური აქტივები	10	1816	1816
ძირითადი საშუალებები	9	3052724	3102681
სულ აქტივები		3342022	3372913
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	12	4807	9070
სულ ვალდებულებები		4807	9070
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		285756	312384
გადაფასების რეზერვი		3051259	3051259
სულ საკუთარი კაპიტალი	14	3337215	3363843
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3342022	3372913

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა: ა



5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	5,939	9,121
ფულადი სახსრები ბანკში	225,922	192,161

16. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი

ხელმოწერა:

